

JEL Classification: D04, D22

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.002>

ABOUT THE PECULIARITIES OF BUSINESS EVALUATE AND EVALUATION PROCESS

REZO MANVELIDZE

Doctor of Economic Sciences, Professor

Batumi Shota Rustaveli state University, Georgia

manvelidze.revaz@bsu.edu.ge

IA MESKHIDZE

Doctor of Economics, Associate Professor

Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

ia.meskhidze@bsu.edu.ge

LASHA MANVELIDZE

PhD student

Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

lashamanvelidze@gmail.com

Abstract. All countries need assessment of entrepreneur potential as it is essential aspect of improvement of social and other fields in every country's economy. One of the main mechanisms for achieving this is the ideal assessment of the enterprises those are unfortunately characterized by many flaws or in many cases are ignored at all in our country.

In different countries according to the different circumstances, especially based on purposes of appraisal, they use individual approaches of valuation. These approaches are, for example: income, expenditure and market approaches and each of them use relevant methodologies. Not all the methodologies and approaches are used in the same way. They have their advantages and disadvantages. The problem of classical methods of business valuation in developing countries is also discussed in article, also for Georgia, where there still exist specific obstacles, which, in our opinion, are the obstructions in this field.

In our opinion, there are a number of trends that cause unforeseen change of national farming indicators, is mainly caused by characteristic flaws of production forces and Disproportionate transformation process in almost all areas of real economy. On the first place, the process of business valuation in prioritized fields has a small scale or is completely ignored. International experience reveals that those processes are successfully used in prognosis, purchasing-selling, reorganization, insuring, investing and other stages.

KEYWORDS: BUSINESS VALUE, VALUE APPRAISAL, BUSINESS MARKET VALUE, APPRAISAL ACTIVITY

For citation: Manvelidze R., Mekhidze, I., Manvelidze L. (2020). About the peculiarities of business evaluate and evaluation process. *Globalization and Business, №9*, pp. 20-26. (In Georgian) <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.002>

JEL Classification: D04, D22

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.002>

ბიზნესის შეფასების თავისებურებებისა და შეფასებითი პროცესის შესახებ

რეზო მანველიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
 manvelidze.revaz@bsu.edu.ge

ია მესხიძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
 ia.meskhidze@bsu.edu.ge

ლაშა მანველიძე

დოქტორანტი
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
 lashamanvelidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის ღირებულება, ღირებულების შეფასება, ბიზნესის საბაზრო ღირებულება, საშემფასებლო საქმიანობა.

ციტირებისთვის: მანველიძე რ., მესხიძე ი., მანველიძე ლ. (2020). ბიზნესის შეფასების თავისებურებებისა და შეფასებითი პროცესის შესახებ. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №9, გვ. 20-26. <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.002>

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში საშემფასებლო საქმიანობას არაერთ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც ამ საქმიანობის მყარ თეორიულ საფუძვლებს უკავშირდება.

ბიზნესის ანალიზი და შეფასება ეკონომიკის, როგორც აკადემიური დისციპლინის, ერთ-ერთი განშტოებაა. იგი ეკონომიკური თეორიისა და სამეურნეო პრაქტიკის ერთგვარი ნაერთია, რომელიც ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს. თანამედროვე საშემფასებლო საქმიანობის თეორიული საფუძვლები ვითარდებოდა ეკონომიკური თეორიის განვითარების პარალელურად და აისახება ისეთი მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომებში, როგორებიც არიან: ადამ სმიტი (1723-1817), ჯონ სტიუარტ მილი (1860-1875), თომას მალთუსი (1766-1834), ლეონ ვალრასი (1863-1910) ალფრედ მარშალი (1842-1924) ირვინგ ფიშერი (1867-1947), ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) და სხვები.

1776 წელს ადამ სმიტმა თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზის შესახებ“ საფუძველი ჩაუყარა „შრომითი ღირებულების თეორიას“, რომელშიც გამოიკვლია შრომის მწარმოებლობის ზრდის არსი, მისი როლი და მნიშვნელობა ღირებულების შექმნაში. 1890 წელს ალფრედ მარშალ-

მა თავის საყოველთაოდ აღიარებულ ნაშრომში „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები“ პირველად ყველაზე სრულად და დამაჯერებლად წარმოგვიდგინა ღირებულების მწყობრი თეორია, რომელმაც ფაქტურად გადატრიალება მოახდინა ღირებულების განსაზღვრის საკითხებში. ამ თეორიის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან ფასი განსაზღვრა, როგორც მოთხოვნა-მიწოდების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სიდიდე.

ეკონომიკურმა თეორიამ თანამედროვე სახე ჯონ მეინარდ კეინზის ფუნდამენტურ ნაშრომში „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) მიიღო. კეინზი იცავდა მთავრობის ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჩარევის იდეას, რათა შეემცირებინათ ბიზნესის ციკლების, ეკონომიკური რესურსებისა და დეპრესიების უარყოფითი გავლენა. მისი იდეები საფუძვლად დაედო ეკონომიკური ამროვნების ახალ სკოლას, რომელიც „კეინზის ეკონომიკის“ სახელითაა ცნობილი. დაახლოებით იმავე პერიოდში იწყება „ღირებულების თეორიის“ ფართო სემინტაცია, რათა დაეკმაყოფილებინათ სხვადასხვა ეკონომიკური ობიექტების: აქტივების, კომერციული ინტერესების, საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და ბიზნესის შესწავლის მოთხოვნები.

ზოგიერთი ეკონომისტი-შემფასებელი ყურადღებას

ამაზვილებს უძრავი ქონების ღირებულების ანალიზისა და შეფასების სისტემის დამუშავებაზე. მათი ეს შრომები საბოლოოდ თავმოყრილი და შეჯამებული იქნა 1951 წელს სამეცნიერო ნაშრომში – „უძრავი ქონების შეფასება“ პირველ გამოცემაში, რომელიც მოამზადა იმ დროინდელმა „უძრავი ქონების შემფასებელთა საზოგადოებამ“. 1934 წელს ბენჯამინ გრასიმასა (კოლუმბიის ბიზნეს სკოლის პროფესორი 1894–1976) და დევიდ დოდის (პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი 1895–1988) ნაშრომი: „ფასიანი ქაღალდების ანალიზი“, სადაც გადმოცემულია ბიზნესის ღირებულების შეფასების საკითხები.

1937 წელს ჯეიმს ბომბრაიტმა (კოლუმბიის უნივერსიტეტის ფინანსების კათედრის პროფესორი) გამოსცა ნაშრომი „საკუთრების შეფასება“. ნაშრომის ავტორი შეეცადა გაერთიანებინა ეკონომისტ-შემფასებლებისა და ფინანსისტ ეკონომისტების ღირებულების თეორიები. მან დაინახა, რომ ამ თეორიებში იყო ერთი საერთო მნიშვნელოვანი ელემენტი, სახელდობრ ის, რომ ანალიტიკოსი ორივე შემთხვევაში ახდენს საკუთრების უფლებების ეკონომიკურ შეფასებას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი აფასებს იურიდიული უფლების პაკეტს და იმ ეკონომიკურ უპირატესობას, რომლებიც გამომდინარეობენ საკუთრების ფლობის ფაქტიდან (მიუხედავად იმისა, ეს ქონება იქნება უძრავი თუ მოძრავი, მატერიალური თუ არამატერიალური).

ეკონომიკური თეორიის განვითარების კვალობაზე ევოლუციას განიცდიდა შეფასებითი საქმიანობაც, ხდებოდა მისი სეგმენტირება სხვადასხვა მიმართულებით. 1981 წელს დაფუძნდა „აქტივების შეფასების საერთაშორისო კომიტეტი“, რომელსაც 1994 შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი“ (IVSC). IVSC – არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის შემფასებელთა ეროვნულ გაერთიანებას (ინსტიტუტს). IVSC-ს უმაჯორესი ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სტანდარტების ურთიერთშეთანხმება და შეფასების სტანდარტების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მისაღები და ეფექტიანი იქნება საერთაშორისო თანამშრომლობის წევრი ყველა ქვეყნისათვის.

დღეისათვის პრაქტიკაში შეფასებითი საქმიანობის ქვეშ განიხილება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: უძრავი ქონების შეფასება, მოძრავი ქონების შეფასება, არამატერიალური აქტივების შეფასება, ინტელექტუალური აქტივების შეფასება და ბიზნესის შეფასება.

საშემფასებლო საქმიანობის დიდი პრაქტიკა გაჩნიათ განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში შეფასების სტანდარტები პირველად მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ საქმიანობის ევოლუციაში დიდი წვლილი შეაქვთ პროფესიულ ორგანიზაციებს, მათ შორის „უძრავი ქონების სერთიფიცირებული სპეციალისტების სამეფო საზოგადოება“. საზოგადოებამ 1976 წელს გამოსცა

ე.წ. „წითელი წიგნი“, 1980 წელს კი „თეთრი წიგნი“. 1996 წელს ეს წიგნები გააერთიანა და შექმნა ერთიანი „შეფასების საფუძვლები“. ის მოიცავდა მთელ რიგ პრაქტიკულ დებულებებს, რომლებსაც აქტიურად გამოიყენებენ პროფესიული შემფასებლები. ამ ქვეყნის სტანდარტებში დღეისათვის დადგენილია შეფასების 18 ბაზისი, რომელთაგანაც აქტიურად გამოიყენება 13 მათგანი, მათ შორის 1) შედარებითი მეთოდი; 2) ინვესტიციური მეთოდი; 3) საუკეთესოდ გამოყენების მეთოდი; 4) მოგების მეთოდი და 5) შენაცვლებითი ღირებულების მეთოდი.

აშშ-ში შემფასებელი საზოგადოებები მრავალადაა. მათ შორის გამოირჩევა სამი მათგანი: 1) უძრავი ქონების შემფასებელთა ამერიკული ინსტიტუტი; 2) უძრავი ქონების შემფასებელთა საზოგადოება; 3) შემფასებელთა ამერიკული საზოგადოება. აქ სააქციო კაპიტალის ღირებულების შეფასების ერთ-ერთ თანამედროვე კონცეფციად იქცა ღირებულების ნამეტის გაზომვა, რითაც კომპანიათა შეფასების პროცედურებში აქტიურად ინერგება საკუთარი მაჩვენებლის – ეკონომიკურად დამატებითი ღირებულება – ჩართვა. ასევე შემუშავებულია სამეწარმეო საქმიანობის შეფასების მეთოდი სახელწოდებით „ბალანსირებული სიმრავლე“. ამით შეფასების პროცესში ხდება ისეთი არამატერიალური აქტივების ინტეგრირება, როგორცაა: მომხმარებლის კმაყოფილება კონკრეტული მომსახურებით, ლოიალობა, კადრების ეფექტიანი სწავლების უნარი და სხვა.

ანალოგიური მეთოდები აქტიურად გამოიყენება სხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაშიც.

ეკონომიკური პოტენციალის საშემფასებლო საქმიანობის შესწავლა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება დაიწყო არაერთ განვითარებად ქვეყანაში. ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე პრაქტიკული აპრობაციის პროცესები ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში, ბიზნესწრეებში, შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. დღეისათვის კიდევ უფრო მეტი დასაბუთებულობა შეიძინა საწარმოსა და ბიზნესის ცნებამ, სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის არსმა, ბაზრისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის კატეგორიებმა, შეფასების სუბიექტებისა და ობიექტების სხვაობამ და სხვა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ქვეყანაში საწარმოს, რესურსების, საერთოდ ეკონომიკური პოტენციალის ღირებულების შეფასება განიხილება ბიზნესის მართვის სტრატეგიისა და ფინანსების მენეჯმენტისგან მოწყვეტილად. სწორედ ამიტომაც ეს პროცესი არ მოიცავს რეალური სფეროს მთლიან ანალიზს, რისკების შესაძლებლობების შესწავლას, განვითარების პერსპექტივებს, საფუძვლიანი და გრძელვადიანი პრიორიტეტების შერჩევას, პოტენციურ პარტნიორებს და სხვა.

ბიზნესის შეფასების გაგება, მიდგომები და მეთოდები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით (*სქემა №1*).

აღნიშნული მეთოდების და მიდგომების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების გათვალისწინება და შეფასების პროცესზე ზემოქმედების არსის მიხედვით დაჯგუფება მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის (საწარმოს) შეფასებით დაინტერესებული სუბიექტებისათვის. ჩვენ შევეცადეთ სქემის სახით წარმოგვედგინა თითოეული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი და დადებითი მხარეები (სქემა №2).

აღნიშნული შესაძლო ცდომილებები იმაზე მიუთითებს, რომ საბოლოო მეთოდების და მიდგომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ბიზნესის (საწარმოს) შეფასების მიზნისა და შეფასების მიდგომების უპირატესობების და უარყოფითი მხარეების ანალიზისა და მოსალოდნელ საბოლოო შედეგთან ურთიერთშედარების შემდეგ.

ჩვენს ქვეყანაში, ისე როგორც არაერთ განვითარებული ეკონომიკის ქვეყანაში, ბიზნესის (წარმოების) შეფასების

სქემა №1

საწარმოს (ბიზნესის) ღირებულების შეფასების ძირითადი მეთოდები

არსი	შემოსავალი	ხარჯები	ბაზარი
მიდგომა	შემოსავლითი მიდგომა	ხარჯვითი მიდგომა	საბაზრო (შედარებით) მეთოდი
მეთოდები	1. მომავალი მოგების დისკონტირება 2. მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება 3. მოგების კაპიტალიზაცია 4. ფულადი ნაკადების კაპიტალიზაცია	1. წმინდა აქტივების კაპიტალიზაცია. 2. სალიკვიდაციო ღირებულება 3. ჭარბი შემოსავლების მეთოდი	1. ფირმის ღირებულებისა და მოგების თანაფარდობა 2. თანაფარდობა ღირებულებასა და ფულად ნაკადებს შორის 3. ღირებულებისა და მთლიანი შემოსავლების თანაფარდობა 4. ღირებულებისა და აქტივების ღირებულების თანაფარდობა 5. კომპანიის აქციებთან დაკავშირებული წარსული გარიგებები 6. კომპანიის შექმნასთან დაკავშირებული წინადადებები.

სქემა №2

საწარმოს (ბიზნესის) ღირებულების შეფასების ძირითადი მეთოდების უპირატესობები და უარყოფითი მხარეები

მეთოდი	უპირატესობები	უარყოფითი მხარეები
ხარჯვითი	<ul style="list-style-type: none"> - ითვალისწინებს წარმოებით-სამეურნეო ფაქტორების გავლენას აქტივების ღირებულებაზე; - იძლევა ტექნილოგიების განვითარების დონის შეფასების შესაძლებლობას; - გაანგარიშებული ეყრდნობა ფაქტიურ ფინანსურ და საადრისცხოვლო დოკუმენტებს. 	<ul style="list-style-type: none"> - ასახავს წარსულ ღირებულებას; - შეფასების თარიღისას არ ითვალისწინებს ბაზარზე არსებულ მდგომარეობას; - არ ითვალისწინებს საწარმოს განვითარების პერსპექტივას; - არ ითვალისწინებს რისკებს; - არ არის კავშირი საწარმოს ახლანდელი და მომავალი საქმიანობის შედეგებს შორის.
შემოსავლითი	<ul style="list-style-type: none"> - ითვალისწინებს შემოსავლებისა და ხარჯების მომავალ ცვლილებას; - დისკონტირებისას ითვალისწინებს რისკის დონეს; - ითვალისწინებს ინვესტორის ინტერესებს. 	<ul style="list-style-type: none"> - მომავალი შედეგების პროგნოზირების სირთულე; - რამდენიმე შემოსავლის ნორმის შესაძლო გამოყენება, რაც ართულებს გადაწყვეტილების მიღებას; - არ ითვალისწინებს საბაზრო კონიუქტურას; - გაანგარიშებების შრომატევადობა.
საბაზრო (შედარებით)	<ul style="list-style-type: none"> - ეფუძნება რეალურ საბაზრო მონაცემებს; - ასახავს ყიდვისა და გაყიდვის არსებულ პრაქტიკას; ითვალისწინებს დარგობრივი და რეგიონული ფაქტორების გავლენას საწარმოს აქციების ფასზე. 	<ul style="list-style-type: none"> - არასათანადოდ ახასიათებს საწარმოს ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ფინანსურ თავისებურებებს. - მხედველობაში მიიღება მხოლოდ რეტროსპექტიული ინფორმაცია; - მოითხოვს ბევრ შესწორებას (ცვლილებას) და საანალიზო ინფორმაციას.

კლასიკური მიდგომების გამოყენება ბევრ წინააღმდეგობას აწყდება. მათ შორის, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანია:

- მწირი, ცალკეულ შემთხვევებში დასაიდენტიფიცირებელი (დაუზუსტებელი) საინფორმაციო ბაზა;
- საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებლობა, ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა;
- დაგეგმვისა და პროგნოზირების თანამედროვე კომპლექსური მიდგომების გამოყენების დაბალი კულტურა;
- საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების დაბალი დონე;
- ბიზნესთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმატივებისა და მიდგომების სისტემური ცვალებადობა;
- ბიზნესის სტაბილური განვითარებისათვის სახელმწიფოს მარეგულირებელი ფაქტორების არასრულყოფილება;
- ბიზნესის განვითარებაში რეგიონული ფაქტორების უგულვებელყოფა, რაც იწვევს ადგილობრივი საწარმოო და სამეწარმეო პოტენციალის არაეფექტურ გამოყენებას.

ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა ღირებულებების შეფასების პრინციპი წარმოების ფაქტორების არსზე და საბაზრო ქცევაზე დაფუძნებული მიდგომებით, კერძოდ, მიგვეჩვენებინა თითოეულის ნაკლოვანებებსა და უპირატესობებზე. მიდგომების შედარება კომპანიის ღირებულების შეფასებასთან ეფუძნება შეფასების სხვადასხვა პრინციპებს, რომელიც ასახულია სქემაზე №3.

როგორც შედარება გვიჩვენებს, ღირებულების შეფასებისას წარმოების ფაქტორებზე დაფუძნებული მიდგომების შერჩევას ხშირად მიყვარება ბაზარზე კომპანიის ადგილ-

მდებარეობის და სტრატეგიული განვითარების შესახებ კომპანიის ხელმძღვანელების არასწორ განსაზღვრებამდე. სწორედ ამიტომაც შეფასებისას უფრო მიზანმიმართულად მივიჩნევთ კომპანიის კაპიტალიზაციას, რომელიც კომპანიის რეალურ საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავს.

ზემოაღნიშნულ მეთოდებთან და მიდგომებთან ერთად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბიზნესის ღირებულების განსაზღვრის შემდეგი მეთოდების განიხილვა:

1. დაჯგუფების მეთოდი: შესაფასებელი საწარმოს ღირებულების შედარება უფრო დაბალი ფასის მქონე საწარმოსთან; ფასების კორექტირება შემცირების მიმართულებით; მუშაობა ფასების გამოთანაბრებაზე.
2. დაგეგმვა: დაბალი ფასის მქონე საწარმოს ვაძლევთ 3 ქულას (3 ბარათს); ვიყენებთ დამოუკიდებელი ფასების ბარათებს; ხდება თითოეული შეფასების ანალიზი; იმართება დისკუსია; ისევ შეფასება; შეფასება სრულდება სამივე ბარათის შევსების შემდეგ.
3. შუალედური ანალიზი: ღირებულების შეფასება დამატებითი შემოსავლების გათვალისწინებით.
4. გადავადებული ღირებულება: შეაფასეთ მარტივი გზებით; შეაფასეთ ხელშეკრულებების ღირებულებების გათვალისწინებით; შეაფასეთ ინვესტიციების უკუგების გათვალისწინებით.
5. უკუგება ინვესტიციებიდან: მთლიანი შემოსავლები გაყოფილი მთლიან ღირებულებაზე მინუს 1 (გამოხატული პროცენტებში)
6. ნაღდი ფულის ანალიზი: გვემის შედგენა, შემოსავლების და ხარჯების განსაზღვრა თვეების მიხედვით; გვემის მიხედვით ნაღდი ფულის მიღება თვეების მიხედვით.

სქემა №3

მიდგომების შედარება ღირებულების შეფასებასთან

ღირებულების შეფასების პრინციპები	უპირატესობები	უარყოფითი მხარეები
წარმოების ფაქტორების არსზე დაფუძნებული მიდგომები	<ul style="list-style-type: none"> - გათვლების სიმარტივე; - სააღრიცხვო მონაცემების დადასტურება; ოფიციალური დოკუმენტებით; - უმეტეს შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ საწარმოს პროგნოზირებად მიდგომას. 	<ul style="list-style-type: none"> - შეფასებითი ღირებულებისა და რეალური ღირებულების განსხვავება; - შეფასების სუბიექტურობა; - შეფასებისას მნიშვნელოვანი დარღვევების შესაძლებლობა (მაგალითად, რეიტინგული კომპანიების მიერ გაკოტრებული საწარმოების შეფასება)
საბაზრო ქცევაზე დაფუძნებული მიდგომები	<ul style="list-style-type: none"> - ინფორმაციის მიღების სიმარტივე; - ასახავს კომპანიის რეალურ ღირებულებას მოცემული თარიღისათვის; - ხდება საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპის- მოთხოვნა-მიწოდების კანონის რეალიზაცია. 	<ul style="list-style-type: none"> - ფასების სპეკულაციური ცვლილების შესაძლებლობა.

7. მიმდინარე ღირებულება: მიმდინარე ღირებულება განისაზღვრება ნაღდი ფულის მიმოქცევის ანალიზით, რომელიც მოიცავს ფულის დროით ღირებულებას. (მაგალითად, დოლარი დღეს უფრო ძვირია ან იაფია, ვიდრე ხვალ).

რეგიონული ეკონომიკური პოტენციალის შეფასება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ კონკრეტულ ტერიტორიას გააჩნია როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი უპირატესობების საფუძვლები, ისე განვითარების კონკრეტული მოდელები, რაც პირველ რიგში საჭიროებს ცალკეული დარგებისა და სფეროების შეფასებას ფართო სპექტრით მათ შორის, რა თქმა უნდა, ბიზნესის და საწარმოების შეფასებისას, ისეთი კონსოლიდირებული მაჩვენებლების შემადგენლობის ანალიზისას, როგორცაა შიდა რეგიონული პროდუქტი, წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლები, დამატებითი ღირებულების ხვედრითი წილის დინამიკა, საერთოდ ბიზნესის ადგილი რეგიონულ პროდუქტში.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საოჯახო მეურნეობებს, არასაბაზრო მომსახურებას, გარდა საოჯახო მომსახურებისა. ჩვენია აზრით, ამ მაჩვენებლის გაანგარიშებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ისეთ პარამეტრებს, როგორცაა: მთლიანი დამატებული ღირებულება, პროდუქციისა და მომსახურების რაოდენობა, შუალედური მოხმარება, შემოსავლის ძირითადი სახეების მოცულობა, დანახარჯები, ინვესტიციები, ექსპორტ-იმპორტი, საკუთარი რესურსების ხვედრითი წილი და სხვა.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების შეფასების შემადგენელი კრიტერიუმია ეკონომიკური ზრდა, მისი ტემპი. მხედველობაში გვაქვს საზოგადოებრივი ღირებულების მქონე ეკონომიკური ზრდა, ანუ რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას, ვიდრე ეს იყო საბაზისო პერიოდში.

სწორედ რეგიონულ ეკონომიკაში არსებული რეალური მდგომარეობის და არსებული გამოწვევების დადგენა მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შემადგენლობაზე, ასევე ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის სტრუქტურის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასების სიზუსტეზე. ამ და სხვა კრიტერიუმების სიზუსტისა და მასშტაბის ხარისხი პირველ რიგში განისაზღვრება რეგიონული ეკონომიკის ანუ ბიზნესისა და საწარმოს შეფასების პროცესის, ოპტიმალური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობებზე.

დღეს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გამოიყენება რეგიონების კლასიფიკაციის პრაქტიკა განვითარების ტემპის, საწარმოთა და სარესურსო პოტენციალის გამოყენების დონით, იერარქიული ნიშნით, ფუნქციური დანიშნულებით, ადმინისტრაციული თავისებურებებით და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით. ბუნებრივია ასეთი დაყოფა, პირველ რიგში ემსახურება მათი განვითარების შედეგზე ორიენტირებულ სტრატეგიებს, მათ შორის რეგიონული ეკონომიკის განვითარების, რომლის საფუძვლზეც ბიზნესი წარმოადგენს სწორედ ბიზნესის შეფასების მიდგომებისა და მეთოდების სწორი განსაზღვრა წარმოადგენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივის ძირითადი განსაზღვრული კრიტერიუმის დადგენის ამოსავალს.

მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი მიდგომებით შეიძლება ჩაერთოს საქართველოს რეგიონები შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, გამოიყენოს მაღალტექნოლოგიური მიღწევები, გამოიყენოს მასტიმულირებელი მექანიზმები, სხვადასხვა პრევენციები.

საქართველოში საშემფასებლო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- საუნივერსიტეტო სივრცეში შემუშავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების საფუძვლების მქონე საგანმანათლებლო პროგრამები;

- ლიცენზიები და სხვა სახის ნებართვები, რომლებიც გაიცემა როგორც გარკვეული საქმიანობის ნებართვა, განსაკუთრებით მცირე, მიკრო და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში გაიცემა იურიდიულ პირზე და არა ქონებრივ კომპანიებზე. აღნიშნული ყიდვა-გაყიდვის პროცესში არ ითვალისწინებს საქმიანობის უფლების გაყიდვას. ეს კი მნიშვნელოვან შეფერხებებს უქმნის ახალ მესაკუთრეს. ვფიქრობთ, შესასწავლია ახალი მიდგომა.

- ბიზნესის ყიდვა უმეტეს შემთხვევაში წამოადგენს ბაზარზე „შესული ბურთის“ შეძენას, ანუ ახალი მეწარმე ფიქრობს, რომ ის ბაზარზე შეინარჩუნებს თავის პოზიციებს და საწარმოს ქონებასთან ერთად შეინარჩუნებს მის მომხმარებლებს. ესაა ურთიერთობათა სფერო, რომლის დასაბუთება უნდა მოხდეს „საქმიანი რეპუტაციის“ ცნებით. სწორედ ეს მაჩვენებლები უნდა იყოს მნიშვნელოვანი ოფიციალური ღირებულების დადგენაში.

- ბიზნესი, ისევე როგორც საწარმოს ან სხვა მატერიალური ფასეულობების ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბიზნესის შიგნით მიმდინარე პროცესებს, რომლებიც პირველ რიგში ბიზნეს გარემოსთან არის კავშირში. ამიტომაც შეფასების პროცესი უნდა აანალიზებდეს აღნიშნულ ფაქტორებს და მნიშვნელოვან გავლენას უნდა ახდენდეს იმ მომენტისათვის ღირებულების განსაზღვრაზე.

- შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი ფაქტორები, როგორცაა: მოთხოვნა, დრო, შემოსავლები, რისკები, ლიკვიდურობა, შემდგომი, მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, სტრატეგია, მომხმარებელთა და პარტნიორთა სტაბილურობა (დროის ხანგრძლივობა) და სხვა.

- შეფასების პროცესი უნდა მოიცავდეს ისეთი სტადიების გამოყოფას და დაკონკრეტებას, როგორცაა: პრობლემის განსაზღვრა, საწარმოს იდენტიფიკაცია, შეფასების საგნის გამოვლენა, შეფასების გეგმის განსაზღვრა, შეფასების სათანადო დოკუმენტის გაფორმება, ინფორმაციის შეფასება და ანალიზი, საბაზრო კონიუნქტურის ანალიზი, წინმსწრები, თანხმობები და დაგვიანებული მაჩვენებლების განსაზღვრა,

შეფასების მიდგომებისა და მეთოდების არჩევა, შეფასების ანგარიშის მომზადება, შეფასების თაობაზე დასკვნა და საჭიროების შემთხვევაში დანართების მომზადება.

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირების-თვის დაგეგმვისა და სტრატეგიების განსაზღვრის პრო-

ცესში შესაფასებელი საქმიანობის შედეგების აქტიურად გამოყენებას მეთი სტიმული მიეცემა, ამ მიმართულებით შე-საძლებელია საზოგადოებრივი და არასამთავრობო სტრუქ-ტურების ფორმირება, მათ შორის რეგიონალურ დონეზე.

ლიტერატურა/REFERENCES

- Strovsky, V.E., Simonyan,A.Kh (2014). Approaches and methods for assessing the value of business in modern conditions. Izvestia of the Ural State Mining University.№1(33) (In Russian)
- International Assessment Standards 2007 (2009). Georgian edition, # 12 (120) (In Georgian).
- Manvelidze, R., Meskhidze, I. (2013). Basics of business evaluation. Tbilisi (In Georgian)
- Meskhia, I., Gvelesiani, E. (2010). Regional Economic Policy.Tbilisi (In Georgian)
- Baratashvili, E., Zarandia, J. Galakhvaridze, N. (2012). Regional Development. Tbilisi (In Georgian)